


შპს ნერგეტა
ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	41,267	1,716,438	84,039
სავაჭრო მოთხოვნები		263,236	82,449	11,103
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი მარაგები		-	3,549	109
- მზა პროდუქცია		76,462	32,590	194,382
- ნედლეული და მასალები		426,243	580,045	574,079
ბიოლოგიური აქტივები	5	53,932	56,912	54,475
- თვითღირებულების მოდელით		53,932	56,912	54,475
სხვა არამატერიალური აქტივები	7	3,560	3,787	4,015
ძირითადი საშუალებები	6	1,135,400	1,184,236	1,353,134
სხვა გრძელვადიანი აქტივები		37,706	77,425	83,993
სულ აქტივები		2,037,806	3,737,431	2,359,329
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		41,744	16,976	35,334
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		818	-	162
საგადასახადო ვალდებულებები		18,615	12,215	1,697
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		388,175	1,146,955	841,302
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		856,700	1,436,978	1,921,356
სხვა ვალდებულებები		12,546	4,725	72
სულ ვალდებულებები		1,318,598	2,617,849	2,799,923
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	8	3,812,038	3,812,038	3,812,038
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		(3,092,830)	(2,692,456)	(4,252,632)
სულ საკუთარი კაპიტალი		719,208	1,119,582	(440,594)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,037,806	3,737,431	2,359,329


დირექტორი: კონსტანტინე ვეკუა



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	453,222	375,087
საქონლის გაყიდვიდან	453,222	375,087
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(550,480)	(380,516)
საწყისი მარაგები	(626,195)	(768,461)
მარაგების შესყიდვა	(467,135)	(238,250)
საბოლოო მარაგები	542,850	626,195
საერთო მოგება / (ზარალი)	(97,258)	(5,429)
სხვა შემოსავალი	9,048	1,809,692
დასაქმებულთა ანაზღაურება	(211,687)	(248,003)
ცვეთა და ამორტიზაცია	(69,151)	(79,902)
საპროცენტო შემოსავალი:	76	-
საპროცენტო ხარჯი	(74,302)	(130,241)
იჯარის ხარჯი	(7,655)	(9,180)
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(160,369)	(104,166)
სულ საოპერაციო ხარჯები	(514,040)	1,238,200
საოპერაციო მოგება / (ზარალი)	(611,298)	1,232,771
გაუფასურების (ხარჯი)/რევერსირება		
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	210,924	327,405
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	(400,374)	1,560,176
განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)	(400,374)	1,560,176
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი) სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	(400,374)	1,560,176

დირექტორი: კონსტანტინე ვეკუა




კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	31/12/2022	31/12/2021
კაპიტალი საწყისი ნაშთი	1,119,582	(440,594)
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
მიმდინარე წლის მოგება / (ზარალი)	(400,374)	1,560,177
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	719,208	1,119,582

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31/12/2022	31/12/2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(647,751)	(221,503)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	17,684	1,690,690
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(995,293)	182,248
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(1,625,360)	1,651,435
სავალუტო კურსის ეფექტი	(49,811)	(19,036)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,716,438	84,039
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	41,267	1,716,438

დირექტორი: კონსტანტინე ვეკუა



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022წ. 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ნერგეტა (შემდგომში „კომპანია“, რეგისტრაციის ნომერი: 206342108), რეგისტრირებულია საქართველოში 2009წ. 22 ივნისს, მისამართზე: თბილისი, ისნის რაიონი, I გუჯარეთის ქ. 88ა და საქმიანობის ძირითად სფერო წარმოადგენს კივის წარმოება და რეალიზაცია. 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა ასეთი იყო:

	31/12/2022	31/12/2021
ჰანს ფრიდრიხ გუტბროდ	82.35%	80.35%
კონსტანტინე ვეკუა	14.59%	15.59%
რომეო ჯაპავა	3.06%	4.06%
სულ	100%	100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მოგების გადასახადი

საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. “ესტონური მოდელით”. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის ღირებულება ხდება თვითღირებულების განაწილების მიზნით კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. მიწა არ იცვითება. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	20%
საოფისე აღჭურვილობა	20%
სათადარიგო ნაწილები	20%
ზრდადასრულებული ნაყოფის მომცემი კულტურები	3%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ზრდადასრულებული ნაყოფის მომცემი კულტურები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ნაყოფის მომცემი კულტურა განისაზღვრება, როგორც ცოცხალი მცენარე, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და მიწოდებაში, მოსალოდნელია, რომ ნაყოფი მოისხას ერთ პერიოდზე მეტჯერ და ნაკლებად სავარაუდოა, რომ გაიყიდოს, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ნარჩენების სახით თანმდევი გაყიდვების გარდა. ნაყოფის მომცემი კულტურები ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ანარიცხით, საჭიროებისამებრ. ნაყოფის მომცემი კულტურები აღირიცხება იგივენაირად, როგორც საკუთარი ძალებით შექმნილი ძირითადი საშუალებები, მანამ, სანამ ისინი იქნებიან იმ ლოკაციაზე და იმ მდგომარეობაში, რომელიც აუცილებელია, რათა შესაძლებელი იყოს მათი ოპერაციებისას გამოყენება, ისე, როგორც ეს ხელმძღვანელობას აქვს განზრახული. კომპანიის ხელმძღვანელობა ნაყოფის მომცემი კულტურებისგან მოელის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღებას დარგვიდან 5-6 წლის შემდეგ, მაგრამ მაქსიმალურ ნაყოფიერებას აღწევნ დარგვიდან 8-9 წლის შემდეგ და ამ მომენტში, ნაყოფის მომცემი კულტურების დაუძთავრებელი წარმოება გადადის ნაყოფის მომცემ კულტურებში. ამ პერიოდის შემდეგ, ნებისმიერი შემდგომი დანახარჯები აღიარდება ხარჯად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი ზრდიან ნაყოფის მომცემი კულტურების მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით წლიურად შესაბამისი ნორმის მიხედვით, პროგრამული უზრუნველყოფა - 15%-ით, ხოლო ლიცენზია - მისი ვადის პროპორციულად. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ბიოლოგიური აქტივები.

კომპანიის ბიოლოგიური აქტივები ძირითადად შედგება ზრდის პროცესში მყოფი ნაყოფის მომცემი კულტურების ნერგებისგან, მრავალწლოვანი ნარგავებისგან რომლებიც გამოიყენება საქარე ზოლად და ასევე ცხოველებისა და მწერებისაგან.

მოსავლის აღების შემდეგ, სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რაც მოიცავს მცენარეულ ნაყოფს, კლასიფიცირდება მარაგებად და თავდაპირველად შეფასებულია მოსავლის აღების მომენტში მათი სამართლიანი ღირებულებით, შემცირებული გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. სამართლიანი ღირებულების მოგება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწყისი აღიარებისას აღიარდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულება ნაყოფის მიღების მომენტში განისაზღვრება ახლო წარსულში განხორციელებულ ოპერაციებში გამოყენებული საბაზრო ფასების მიხედვით და სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, მეორე დონის კატეგორიაში ხვდება. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის ხარჯები ნაყოფის მიღების მომენტში განისაზღვრება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების საფუძველზე.

მარაგები.

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება აქტივების ღირებულების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ზოგჯერ ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

სესხები და ოვერდრაფტები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

	31/12/2022	31/12/2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	8,019
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	11,836	558,152
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	29,431	1,150,267
სულ	41,267	1,716,438

5. ბიოლოგიური აქტივები

თვითღირებულებით შეფასებული ბიოლოგიური აქტივები

	ნაყოფის მომცემი კულტურების ნერგები	მრავალწლიანი ნარგავები	ცხოველები და მწერები	სულ
თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	33,962	11,404	22,455	67,821
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	-	(1,425)	(12,939)	(14,364)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	33,962	9,979	9,516	53,457
დამატებები	-	5,654	-	5,654
ცვეთა	-	(500)	(1,700)	(2,199)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	33,962	15,133	7,817	56,912
თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	33,962	17,058	22,455	73,475
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	-	(1,925)	(14,638)	(16,563)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	33,962	15,133	7,817	56,912
გასვლები / ჩამოწერა	(1,135)	-	-	(1,135)
ცვეთა	-	(485)	(1,360)	(1,844)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	32,827	14,649	6,457	53,932
თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	32,827	17,058	22,455	72,340
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	-	(2,409)	(15,998)	(18,407)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	32,827	14,649	6,457	53,932

6. ძირითადი საშუალებები

მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და საწარმოო აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	სათადარიგო ნაწილები	ზრდადასრულებული ნაყოფის მომცემი კულტურები	სულ
თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	755,959	307,035	1,073,363	895	1,374	2,283,882
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	-	(119,049)	(791,683)	(685)	(1,094)	(929,730)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	755,959	187,986	281,681	210	280	1,354,152
დამატებები	-	-	38,727	-	-	38,727
გასვლები / ჩამოწერა	(127,816)	-	(3,352)	-	-	(131,168)
ცვეთის ხარჯი	-	(10,002)	(63,396)	(42)	(56)	(77,476)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	628,143	177,984	253,660	168	224	1,184,236
თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	628,143	307,035	1,108,739	895	1,374	2,191,442
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	-	(129,051)	(855,079)	(727)	(1,150)	(1,007,206)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	628,143	177,984	253,660	168	224	1,184,236
დამატებები	-	-	17,608	-	-	1,135
ცვეთის ხარჯი	-	(9,382)	(54,254)	(34)	(45)	(67,580)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	628,143	168,602	217,015	135	179	1,135,400
თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	628,143	307,035	1,126,348	895	1,374	2,210,186
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	-	(138,433)	(909,333)	(761)	(1,195)	(1,074,786)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	628,143	168,602	217,015	135	179	1,135,400

7. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	5,532	188	5,720
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	(1,549)	(156)	(1,705)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	3,983	32	4,015
ამორტიზაციის ხარჯი	(221)	(6)	(228)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	3,762	25	3,787
თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	5,532	188	5,720
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	(1,770)	(163)	(1,933)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	3,762	25	3,787
ამორტიზაციის ხარჯი	(221)	(6)	(228)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	3,541	19	3,560
თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	5,532	188	5,720
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	(1,991)	(169)	(2,160)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	3,541	19	3,560

8. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლების ფაქტობრივ შენატანებს საწესდებო კაპიტალის სახით.